ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანს ქალბატონ სალომე დუნდუას

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორის
ამირან ბერძენიშვილის

სამსახურეობრივი ბარათი

ქალბატონო სალომე,

გიგზავნით სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულებაზე ჩატარებული სხდომის ოქმს. სხდომაზე არჩეულ იქნა მიმართულების ხელმძღვანელი.

პატივისცემით,
ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი

13.06.2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების 2025წლის 13 ივნისის
სხდომის

ოქმი № 4

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორები: ა. ბერძენიშვილი, ი. კაჭკაჭიშვილი, ასოცირებული პროფესორები: ა. დიაკონიძე, თ. მახარაძე, ს. ნამიჭეიშვილი, ნ. დურგლიშვილი, კ. ქეცბაია, ნ. დონაძე, ლ. წულაძე, ასისტ. პროფ. შ. თურქიაშვილი.

მოისმინეს: საკითხი სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევასთან დაკავშირებით. /**პროფ. ა. ბერძენიშვილი**

პროფესორმა ა. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ სოციოლოგიის და სოციალური მიმართულების ხელმძღვანელის პოზიციაზე მისი ყოფნის ვადა ამოიწურა და უნდა მოხდეს ახალი ხელმძღვანელის არჩევა. მან მიმართულების ხელმძღვანელის კანდიდატად დაასახელა პროფ. ი. კაჭკაჭიშვილი. პროფ. ა. ბერძენიშვილმა მიმართა დამსწრეთ წარედგინათ სხვა კანდიდატიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. ბერძენიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორებმა: თ.მახარაძემ, ს. ნამიჭეიშვილმა, კ. ქეცბაიამ, ანა დიაკონიძემ, ნ. დონაძემ.
მადლობა გადაუხადეს პროფ. ა. ბერძენიშვილს მისი, როგორც მიმართულების ხელმძღვანელის მიერ, გაწეული შრომისთვის და აღნიშნეს, რომ მხარს უჭერენ პროფ. ი. კაჭკაჭიშვილის კანდიდატურას სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების ახალი ხელმძღვანელის პოზიციაზე, რის შემდეგაც ჩატარდა ღია კენჭისყრა.

დაადგინეს:

1. ღია კენჭისყრის შედეგად სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის პოზიციაზე ერთხმად არჩეულ იქნა პროფ. ი. კაჭკაჭიშვილი.

2. ეთხოვოს ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ სალომე დუნდუას, დაამტკიცოს აღნიშნული გადაწყვეტილება

სხდომის თავმჯდომარე: /პროფ. ა. ბერძენიშვილი/

სხდომის მდივანი: /ასისტ. პროფ. შ. თურქიაშვილი/

თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

13 ივნისი, 2025 წელი.